

მოთხოვნამდე დეპოზიტის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა – www.ngb.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე +995 (32) 2 406 406

- ✓ დეპოზიტის თანხის ოდენობა და ვალუტა _____
- ✓ დეპოზიტის ვადა _____
- ✓ დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი წლიური _____
- ✓ დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი _____
- ✓ დეპოზიტის ლარში განთავსების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი წლიური _____¹
- ✓ ლარის შესაძლო 15 % იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთია წლიური _____²

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:

- ✓ თუ დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი ბანკის მიერ იცვლება ხელშეკრულების განახლების მომენტისათვის, ამის შესახებ შეცვლილი საპროცენტო განაკვეთის მითითებით, ბანკი ერთი თვით ადრე ატყობინებს დეპოზიტორს. ბანკის მიერ დეპოზიტორს შეტყობინება ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით. თუ დეპოზიტორი შეცვლის მითითებულ ტელეფონის ნომერს ან ელექტრონული ფოსტის მისამართს და ამის შესახებ არ აცნობებს ბანკს, ეს უკანაგული ხელმძღვანელობს მისთვის ცნობილი რეკვიზიტებით და მათზე შეტყობინების გაგზავნა ითვლება დეპოზიტორის მიერ ინფორმაციის მიღებად³.
- ✓ დეპოზიტის პირველი ვადის ამოწურვისას წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება (განახლება) იმავე ვადით და პირობებით. ეს წესი გამოიყენება ხელშეკრულების ვადის ყოველი ამოწურვისას⁴

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს⁵

¹ იბეჭდება იმ შემთხვევაში თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

² იბეჭდება იმ შემთხვევაში თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

³ იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტორს ავტომატური განახლება სურს დეპოზიტის გახსნისთანავე

⁴ იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტორს ავტომატური განახლება სურს დეპოზიტის გახსნისთანავე.

⁵ იბეჭდება იმ შემთხვევაში თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები დეპოზიტორმა შეიძლება წარადგინოს წერილობით
ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ
მისამართზე: info@vtb.ge

მოთხოვნამდე ანაზრის ხელშეკრულება N

ქ. -----

“-----“ ----- 200--- წ.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ ----- (შემდგომ - ბანკი) მისი -----
სახით, ერთი მხრივ, და ფიზიკური პირი ----- (შემდგომ - დეპოზიტორი) მეორე
მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2 ხელშეკრულების საგანი

- 1.1 დეპოზიტორს შეაქვს ბანკში თანხა N ----- სადეპოზიტო ანგარიშზე, ბანკი მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით უბრუნებს დეპოზიტორს.
- 1.2 წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი (ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების პირობები

- 2.1 დეპოზიტზე პირველადი თანხის შეტანა ხდება ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.
- 2.2 დეპოზიტის თანხის ოდენობა და ვალუტა _____, აღნიშნული თანხა, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ბანკის მიერ ჩამოიჭრება დეპოზიტორის _____⁶ ანგარიშიდან და ჩაირიცხება 1.1 პუნქტში მითითებულ სადეპოზიტო ანგარიშზე.
- 2.3 დეპოზიტის ვადა _____
- 2.4 დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი წლიური _____
- 2.5 დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, წლიური _____
- 2.6 დეპოზიტის ლარში განთავსების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი წლიური _____⁷
- 2.7 ლარის შესაძლო 15 % იანი წლიური გამყარების შემთხვევაში დეპოზიტის გაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთია წლიური _____⁸
- 2.8 **დეპოზიტზე პროცენტის დაანგარიშება ხდება 365 დღეზე გაანგარიშებით და დეპოზიტზე რეალურად არსებული თანხის შესაბამისად.**
- 2.9 დეპოზიტზე დამატებითი შენატანების თანხა და რაოდენობა შეუზღუდავია.
- 2.10 დეპოზიტიდან თანხის ან მისი ნაწილის გატანა შეუზღუდავია.
- 2.11 ბანკი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, უკავებს დეპოზიტორს საშემოსავლო გადასახადს საპროცენტო სარგებლიდან.
- 2.12 **სადეპოზიტო ანგარიშზე დარიცხული პროცენტი აისახება ამავე სადეპოზიტო ანგარიშზე [იზრდება დეპოზიტის თანხა].**
- 2.13 სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანა/გატანა წარმოებს დეპოზიტორის _____⁹ ანგარიშის მეშვეობით.
- 2.14 დეპოზიტის ვადის გასვლისას დეპოზიტის თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი გადადის დეპოზიტორის _____¹⁰ ანგარიშზე.

⁶ ეთითება „მიმდინარე“ ან „საბარათე“ იმის და მიხედვით თუ რომელს აირჩევს კლიენტი

⁷ იბეჭდება იმ შემთხვევაში თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

⁸ იბეჭდება იმ შემთხვევაში თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

⁹ ეთითება „მიმდინარე“ ან „საბარათე“ იმის და მიხედვით თუ რომელს აირჩევს კლიენტი.

¹⁰ ეთითება „მიმდინარე“ ან „საბარათე“ იმის და მიხედვით თუ რომელს აირჩევს კლიენტი.

2.15 ყველგან, სადაც პროცენტის ოდენობა ან/და მხარეთა უფლება - მოვალეობები დაკავშირებულია დეპოზიტის ვადასთან, იგულისხმება, კონკრეტული ვადები [დეპოზიტის გახსნის/განახლების თარიღიდან უახლოესი ვადის დასრულების თარიღამდე] და არა სავარაუდო ან უკვე განხორციელებული განახლების საერთო ვადა/ვადები.

3. დეპოზიტორის უფლება-მოვალეობები

3.1 დეპოზიტორი ვალდებულია დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში, ხუთი საბანკო დღით ადრე მიმართოს ბანკს.

3.2 დეპოზიტორი უფლებამოსილია:

3.2.1 გაიტანოს დეპოზიტი ვადის დადგომისას ან ვადაზე ადრე.

3.2.2 წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მიიღოს ბანკისგან ინფორმაცია მის სადეპოზიტო ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შესახებ.

3.2.3 წარადგინოს ბანკის ქსელის განვითარებისა და ადმინისტრირების განყოფილების პროცესებისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ჯგუფთან პრეტენზიები თავსართში მითითებული ფორმებით.

3.2.4 გაეცნოს პრეტენზიების განხილვის პროცედურას ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.vtb.ge

4 ბანკის უფლება-მოვალეობები

4.1 ბანკი ვალდებულია:

4.1.1 მიიღოს დეპოზიტორისაგან დეპოზიტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.1.2 დაარიცხოს დეპოზიტს საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.1.3 დაუბრუნოს დეპოზიტორს დეპოზიტი და დაარიცხული საპროცენტო სარგებელი იმავე ვალუტით.

4.1.4 დაიცვას საბანკო საიდუმლოება, დეპოზიტორის თანხმობის გარეშე არ გასცეს მესამე პირზე კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.1.5 დეპოზიტორს პრეტენზიაზე პასუხი გასცეს იგივე ფორმით პრეტენზიის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

5 სხვა პირობები

5.1 დეპოზიტის 2.3 პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვისას წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება (განახლება) იმავე ვადით და პირობებით. ეს წესი გამოიყენება ხელშეკრულების ვადის ყოველი ამოწურვისას¹¹

5.2 თუ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული საპროცენტო განაკვეთი ბანკის მიერ იცვლება ხელშეკრულების განახლების მომენტისათვის, ამის შესახებ, შეცვლილი საპროცენტო განაკვეთის მითითებით, ბანკი ერთი თვით ადრე ატყობინებს დეპოზიტორს.

5.3 თუ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული შეტყობინებიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე დეპოზიტორი არ განაცხადებს უარს განახლებაზე, ხელშეკრულება გაგრძელდება იგივე პირობებით/ვადით და შეცვლილი საპროცენტო განაკვეთით.

5.4 ბანკის მიერ დეპოზიტორს შეტყობინება ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით, თუ დეპოზიტორი შეცვლის მითითებულ ტელეფონის ნომერს ან ელექტრონული ფოსტის მისამართს და ამის შესახებ არ აცნობებს ბანკს, ეს

¹¹ ხელშეკრულების 5.1 – 5.6 პუნქტები იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტორს ავტომატური განახლება სურს დეპოზიტის გახსნისთანავე

უკანაგნელი ხელმძღვანელობს მისთვის ცნობილი რეკვიზიტებით და მათზე შეტყობინების გაგზავნა ითვლება დეპოზიტორის მიერ ინფორმაციის მიღებად.

- 5.5 თუ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული საპროცენტო განაკვეთი იზრდება, ბანკი თავისუფლდება შეტყობინების ვალდებულებისაგან.
- 5.6 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად განაცხადოს უარი განახლებაზე.
- 5.7 თუ ბანკს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით წარმოეშობა უფლება, რომ საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს დეპოზიტზე არსებული სახსრების ხარჯზე. ბანკი უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სადეპოზიტო ანგარიშიდან სახსრების უაქცეპტო წესით ჩამოჭრის გზით.

6. სხვა პირობები

- 6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.
- 6.2 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 6.3 მხარეთა შორის წამოჭრილი უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 6.4 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ბანკი

დეპოზიტორი

.....

(სახელი, გვარი)

.....

(მისამართი)

.....

(პირადობის დამადასტურებელი საბუთის სხვა რეკვიზიტები)

ტელეფონი.....

ხელმოწერა